

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N033/17<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

*სტუდენტი ნათია მაჭარაშვილი*

**ფაქტები**

ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის საქმე სასამართლოში და შსს საგამომიებო ორგანოებში. ადვოკატმა კლიენტს გაუზიარა ანგარიში და სასამართლოს გადაწყვეტილება ადვოკატთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტით, რომლის მიხედვითაც კლიენტის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. ადვოკატმა კლიენტისგან მიიღო შეთანხმებული საზღაური. კლიენტი ადვოკატს სთხოვდა სააღსრულებო წარმოებაში მომსახურებას, რასაც ადვოკატი თავს არიდებდა და შეწყვიტა კლიენტთან კომუნიკაცია. კლიენტის ახალმა წარმომადგენელმა გაარკვია, რომ ადვოკატის მიერ გაგზავნილ გადაწყვეტილებაში მითითებული ნომრით სასამართლოს სარჩელი არ მიუღია წარმოებაში, გადაწყვეტილების შინაარსი გამოგონილი და გამიზნული იყო კლიენტის მოსატყუებლად. ასევე, ადვოკატმა მოატყუა კლიენტი, როდესაც აცნობა, რომ მისი მოთხოვნის საფუძველზე მოწინააღმდეგე მხარის ქონება დაყადაღებული იყო. ადვოკატმა კლიენტი შეიყვანა შეცდომაში, როდესაც უთხრა, რომ მიიღო მოწინააღმდეგე მხარის ვალის აღიარების შეთანხმება.

**პროცესუალური ისტორია**

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დაიწყო დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2 მუხლების, ეთიკის კოდექსის, (შემდგომში „აპეკი“) 8.6, 3 მუხლების საფუძველზე, ხოლო განხილვის კოლეგიამ საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. ადვოკატმა ეთიკის კომისიის არაერჯერადი გაფრთხილების მიუხედავად მონაწილეობა არ მიიღო ეთიკის კომისიის სხდომებში და არ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია.

**სამართლებრივი შეფასება**

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მისი კუთვნილი, ადვოკატთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გადაწყვეტილების გაგზავნა მიიჩნია დარღვევად, რადგან აღმოჩნდა, რომ მსგავსი საქმე სასამართლოს წარმოებაში არ ყოფილა და სადავო გახდა გადაწყვეტილების ნამდვილობა. ამ ფაქტით დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 6.2), (აპეკი, მუხლი 8.6) კეთილსინდისიერად და კანონიერად მოქმედების პროფესიული ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 5(ა)) და ნდობის პრინციპი (აპეკი, მუხლი 3). ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს სწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტს უნდა შეემლოს სწორი ინფორმაციის მიღება მისი საქმის შესახებ, რათა საქმის მსვლელობის პროცესში ადვოკატის, როგორც იურიდიული მრჩევლის დახმარებით, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მის საქმეზე მიღებული დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებასაც. კლიენტისათვის არასწორი/ყალბი სასამართლო გადაწყვეტილების გადაგზავნით, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც მოიცავს კანონიერად მოქმედების ვალდებულებასაც. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს, უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პროცესში. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატის ყოველი ქმედება ჯდებოდეს კანონის ჩარჩოებში. ადვოკატი, როგორც უფლებების დამცველი, არა მხოლოდ

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5d00c5429dc0f.pdf/033.17%2003.12.2018.pdf>



კლიენტის უფლებების დაცვისთვის და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის უნდა ზრუნავდეს, არამედ თავად უნდა იყოს მაგალითი სხვებისთვის.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ საზოგადოებაში ადვოკატები მაღალი ნდობით სარგებლობენ და ადვოკატმა არაკეთილსინდისიერი, არაკანონიერი დამოკიდებულებით არათუ ზიანი არ უნდა მიაყენოს მის პროფესიას, არამედ პირიქით, პროფესიული საქმიანობის პერიოდში, ადვოკატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გააღრმავოს და გაამყაროს საზოგადოების ნდობა. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატს გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა საადვოკატო საქმიანობისას ზიანი არ მიაყენოს ადვოკატის პროფესიას. თითოეული ადვოკატის ქმედება ზეგავლენას ახდენს ადვოკატთა კორპუსის და პროფესიის სახეზე, ადვოკატის პროფესიის მიმართ პატივისცემასა და მისდამი საზოგადოების ნდობაზე.

### **დასკვნა**

განსახილველ საქმეში ეთიკის კომისიამ დაადგინა, ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულების დარღვევა (აშსკ, მუხლი 6.2), (აპეკ, მუხლი 8.6); ასევე კეთილსინდისიერების, ნდობისა და კანონიერების ფარგლებში მოქმედების ეთიკური ვალდებულებები (აშსკ, მუხლი 5(ა)); (აპეკ, მუხლი 3). ადვოკატს დისციპლინური სახდელის ფორმად განესაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

### **განსხვავებული აზრი**

ეთიკის კომისიის ერთ-ერთმა წევრმა დააფიქსირა განსხვავებული აზრი გამოყენებულ დისციპლინურ სახდელზე. წევრმა გაიზიარა კომისიის სამართლებრივი შეფასება, მაგრამ არ დაეთანხმა გამოყენებულ სახდელს და მიიჩნია, რომ ვინაიდან სამართლებრივი ზიანი არ დამდგარა, ადვოკატის მიმართ სახდელის ფორმად გამოყენებული უნდა ყოფილიყო შედარებით მსუბუქი დისციპლინური სახდელი - საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება 2 (ორი) წლითა და 6 (ექვსი) თვის ვადით.